შპს „არქსტუდიო“

საინჟინრო-გეოლოგიური

დასკვნა

ქალაქი თბილისი, ქუჩა უზნაძე #78

შპს „გ.ნათაძის სახელობის სანიტარიის, ჰიგიენის და სამედიცინო ეკოლოგიის

სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი“-ს

კუთვნილი მიწის ნაკვეთის

(საკ.კოდი 01.13.08.001.056)

საინჟინრო-გეოლოგიური პირობები

დირ : ზ.ნაზღაიძე



თბილისი

2022 წ

სარჩევი:

1. ფოტომასალა ---- 3
2. ტექნიკური დავალება ----4
3. მიწერილობა ----- 5
4. საერთო ნაწილი, შესავალი ----6
5. ზოგადი ნაწილი ---- 7
6. სამშენებლო კლიმატოლოგია ----10
7. სპეციალური ნაწილი ----12
8. დასკვნები და რეკომენდაციები ----15
9. გამოყენებული ლიტერატურა ----18

დანართები:

1. გრუნტის ფიზიკურ-მექანიკურ მაჩვენებელთა ცხრილი;
2. სამთო გამონამუშევართა განლაგების სქემა;
3. გამონამუშევრების ლითოლოგიური ჭრილები;
4. საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილები;









ტექნიკური დავალება

საინჟინრო გეოლოგიური კვლევების ჩასატარებლად

ობიექტის დასახელება - შპს „გ.ნათაძის სახელობის სანიტარიის, ჰიგიენის და სამედიცინო ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი“;

დამკვეთი – შპს „გ.ნათაძის სახელობის სანიტარიის, ჰიგიენის და სამედიცინო ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი“;

ობიექტის მდებარეობა - ქალაქი თბილისი, ქუჩა უზნაძე #78, საკ.კოდი 01.13.08.001,056;;

დაპროექტების სტადია – სამუშაო დოკუმენტაცია;

მშენებლობის ტიპი – რეკონსტრუქცია-დაშენება;

შენობის კლასი – მეორე, მესამე;

არსებული შენობის ტიპი – ტუფის ქვით, ბეტონის ბლოკით და აგურით ნაშენი, მზიდი კედლებით;

დასაშენებელი სართულის ტიპი – ლითონის კონსტრუქციები, ლითონით გადახურვა;

არსებული შენობის სართულიანობა – სამი მიწისზედა, ერთი მიწისქვეშა;

არსებული შენობის საძირკვლების ტიპი – გაირკვევა საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შემდეგ;

დატვირთვა საძირკვლებზე – 1000ნ/მ;

მოთხოვნა – დადგინდეს არსებული შენობის საძირკვლების ტიპი, დაფუძნების სიღრმე, აგრეთვე გრუნტის ამგები ქანების ფიზიკურ-მექანიკური თვისებები: სიმკვრივე, ბუნებრივი ტენიანობა, დენადობის მაჩვენებელი, ფორიანობის კოეფიციენტი, დეფორმაციის მოდული, ხახუნის კუთხე, საანგარიშო წინაღობა, ხვედრითი შეჭიდულობა, საგების კუთხე, პუასონის კოეფიციენტი;

საინჟინრო გეოლოგიური კვლევის ტექნიკური დოკუმენტაცია წარმოდგენილი იქნეს აკინძული 1 ეგზემპლარად და ელექტრონულ ვერსიაში.

ტექნიკური დავალება გასცა: - შპს „გ.ნათაძის სახელობის სანიტარიის, ჰიგიენის და სამედიცინო ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი“;

მიწერილობა

ქალაქი თბილისი, ქუჩა უზნაძე #78, საკ.კოდი 01.13.08.001,056, საინჟინრო–გეოლოგიური პირობების კვლევის პროგრამა შედგენილია ტექნიკური დავალების და ს.ნ. და წ. 1.02.07-87 „მშენებლობის საინჟინრო კვლევები"-ს მოთხოვნების შესაბამისად.

ს.ნ. და წ. 11-105-97 „სამუშაოთა წარმოების საერთო წესები"-ს მოთხოვნათა შესაბამისად განისაზღვრა სამთო გამონამუშევრების სახე, სიღრმე და სიხშირე, ასევე განისაზღვრა საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის ხარისხი.

მიზნობრივი დანიშნულების შესაბამისად კვლევის წინაშე დასმულია შემდეგი ამოცანები:

1. საკვლევი ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების შესწავლა;
2. გრუნტის ფიზიკო-მექანიკური თვისებების შესწავლა;
3. საკვლევ უბანზე და მის მიმდებარედ ტერიტორიაზე მოქმედი გეოლოგიური პროცესების გამოვლინება და მათი პროგნოზირება;
4. საკვლევ უბანზე მოსალოდნელი საინჟინრო-გეოლოგიური პროცესების განვითარების პროგნოზირება.

დასახული ამოცანების გადასაწყვეტად ს.ნ. და წ. 1.02.07-87 „მშენებლობის საინჟინრო კვლევები"-ს მოთხოვნათა შესაბამისად უნდა ჩატარდეს შემდეგი სამუშაოები:

1. საკვლევი უბნის ტოპო-გეოდეზიური დაგეგმა 1:500 მასშტაბში;
2. არსებული ფონდური მასალის შეგროვება, დამუშავება
3. საკვლევი მოედნის და მიმდებარე ტერიტორიის რეკოგნოსცირება;
4. საკვლევი მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური აგეგმვა;
5. სამთო გამონამუშევრების გაყვანა;
6. გრუნტის დასინჯვა და სინჯების ეღება;
7. გრუნტის სინჯების ლაბორატორიული გამოცდა და მონაცემთა დამუშავება;
8. კამერალური სამუშაოების ჩატარება;
9. საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნის შედგენა;

1, საერთო ნაწილი

შესავალი

2022 წლის დეკემბერში, ჩატარებულ იქნა ქალაქი თბილისი, ქუჩა უზნაძე #78, საკ.კოდი 01.13.08.001.056 არსებული შენობა-ნაგებობის განთავსების ადგილის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები.

- საველე საინჟინრო-გეოლოგიური კვლევითი სამუშაოები ჩატარდა 16 დეკემბერს;
- ლაბორატორიული კვლევითი სამუშაოები ჩატარდა 16-24 დეკემბერს;
- საველე და ლაბორატორიული კვლევის მასალების კამერალური დამუშავება და ანგარიშის შედგენა 24-26 დეკემბერს;

კვლევის მიზანს შეადგენდა არსებული შენობა-ნაგებობის განთავსების ადგილის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა, საძირკვლების ამგები გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების შესწავლა დასაძირკვლების პირობების დასადგენად და გრუნტის წყლების (არსებობის შემთხვევაში) სინჯების აღება ქიმიური ანალიზის გასაკეთებლად;

დასახული ამოცანის გადასაწყვეტად, ტექნიკური დავალების და ნორმატიული დოკუმენტების სნ (27751-88) შესაბამისად, იმისათვის, რომ დადგენილიყო საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოების მოცულობა, საკვლევ მოედანზე წინასწარ ჩატარდა სარეკოგნოსცირებო სამუშაოები. დეტალურად დათვალიერდა შენობის მიმდებარე ტერიტორია.

შენობა აშენებულია მე-20 საუკუნის 50-60-იან წლებში, იგი 4 სართულიანია, სამი მიწისზედა და ერთი მიწისქვეშა სართულით. შენობა გეგმაში რუსული П ფორმისაა. აშენებულია ტუფის ქვით და ბეტონის ბლოკით. გამოყენებულია ქართული აგურიც. კედლების ზომა 0,80 X 0,80 მ-ია. შუა მზიდი კოლონებისაც იგივე 0,80 X 0,80 მ-ია.

წინამდებარე საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის მიზანი არის შენობის რეკონსტრუქცია-დაშენების პროექტისთვის არსებული შენობის ფუძე-საძირკვლების მდგრადობის დადგენა და საინჟინრო-გეოლოგიური პირობების შეფასება.

სარეკონსტრუქციო შენობის და მისი მიმდებარე ტერიტორიების დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ საშიში გეოლოგიური პროცესების ჩასახვა-განვითარების კვალი არ აღინიშნება. უბანი მდგრადია და მშენებლობისათვის დამაკმაყოფილებელ საინჟინრო–გეოლოგიურ პირობებში იმყოფება.

ტექნიკური დავალების შესაბამისად, პროექტის მთ. კონსტრუქტორის მიერ მითითებულ ადგილებში, მიწისქვეშა სართულში გაყვანილი იქნა ოთხი შურფი, თითოეული 3,0 მ სიღრმის, ხოლო ეზოში ხელის შრომით და ხელბურღით ერთი ჭაბურღილი, კვეთით 0,05 მ და სიღრმით 5,0 მ. სამუშაოები შესრულდა ხელის შრომით. სამთო ნამუშევრების საერთო სიგრძემ შეადგინა 17,0მეტრი. სამთო გამონამუშევრების გაყვანის დროს ხდებოდა

გრუნტების დასინჯვა: აღებულ იქნა დარღვეული და დაურღვეველი სტრუქტურის ნნიმუშები. გრუნტის ფენები აღიწერა გოსტ 25.100-82 მოთხოვნათა შესაბამისად. დასინჯვის შემდეგ, როგორც ამას ნორმები მოითხოვს, მოხდა მათი ლიკვიდაცია განაბურღი გრუნტით, ამოვსებით. გრუნტის ნიმუშების ლაბორატორიული კვლევა შესრულდა შპს „წყალი და გრუნტი“-ს გრუნტების კვლევის ლაბორატორიაში, დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

ჩატარებული საველე სამუშაოების და ლაბორატორიული კვლევების მონაცემების გამოყენებით შედგენილია წინამდებარე დასკვნა. დასკვნას თან ახლავს გრუნტების ლაბორატორიული კვლევების კრებსითი ცხრილი, შენობის სქემატური გეგმა სამთო-გამონამუშევრების განლაგებით, ლითოლოგიური ჭრილები და საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილი.

საინჟინრო გეოლოგიური კვლევა ჩატარებული იქნა ინჟინერ-გეოლოგ ზ. ნაზღაიძის მიერ.

2, ზოგადი ნაწილი

მშენებლობისათვის განკუთვნილი ნაკვეთი მდებარეობს ქალაქი თბილისი, ქუჩა უზნაძე #78, საკ.კოდი 01.13.08.001.056. ნაკვეთი მდებარეობს დედაქალაქის ცენტრში, მჭიდროდ დასახლებულ უბანში, რომლის ათვისება დაიწყო მე-19 საუკუნის დასაწყისიდან, ამდენად ბუნებრივი რელიეფი ძლიერ სახეცვლილია ურბანულ-ტექნოგენური პროცესებით. საკვლევი ტერიტორიის რელიეფი სწორია. ტოპო-გეგმის მიხედვით აბსოლუტური ნიშნულები +400,20 -399,80-მ-ის ფარგლებში მერყეობს.

გეომორფოლოგიურად საკვლევი ტერიტორია მდებარეობს მდ.მტკვრის მარცხენა ნაპირზე, I ჭალისზედა ტერასაზე, რომელიც “დიდუბე-ჩუღურეთის” სახელითაა ცნობილი. რელიეფი ტექნოგენურია, ოდნავ დამრეცი რელიეფით.

ტექტონიკური თვალსაზრისით, პ.გამყრელიძეს საქართველოს ტერიტორიის ტექტონიკური დარაიონების სქემის მიხედვით, საკვლევი ტერიტორია მიეკუთვნება მცირე კავკასიონის ნაოჭა სისტემის, აჭარა-თრიალეთის ნაოჭა ზონის სამხრეთ ქვეზონას. ხოლო მდებარეობს თაბორის ანტიკლინის ჩრდილოეთ ფრთაზე (დ.პაპავას მიხედვით), რომელიც აგებულია ფლიშური ტიპის ზედა ეოცენური (P_2^3) ასაკის არგილიტების და ქვიშაქვების მორიგეობით. არგილიტები თხელ შრეებრივია, მუქი მოშავო შეფერილობის, ფურცლოვან-ფირფიტისებური აღნაგობის. ქვიშაქვები ნაცრისფერი ან ღია ნაცრისფერია,ჭრილის ზედა ნაწილში მოყავისფროც. არგილიტები და ქვიშაქვები ერთგვარად მონაცვლეობენ შეფარდებით 3/2-ზე. ქანების დაქანების აზიმუტი ჩ.დ. 340^0-350^0, ხოლო დაქანების კუთხე 20-25^0. ძირითადი ქანები გადაფარულია მეოთხეული ასაკის

ალუვიური კენჭნარით (aQIV), დელუვიური თიხა-თიხნარით (dQIV) და ტექნოგენური გრუნტებით (ტQIV).

საინჟინრო-გეოლოგიური თვალსაზრისით ტერიტორია მშვიდია. რაიმე ისეთი საინჟინრო-გეოლოგიური პროცესების განვითარება, რომელიც საერთოდ საფრთხეს უქმნის შენობის მდგრადობას, არაა მოსალოდნელი.

ტერიტორიის ჰიდროლოგიური პირობების შესახებ აღვნიშნეთ, რომ რაიონის მთავარ ჰიდროგრაფიულ არტერიას წარმოადგენს მდ.მტკვარი, რომელიც საკვლევი უბნის ახლოს მიედინება.

ჰიდროგეოლოგიური პირობების მხრივ საკვლევ უბანზე გრუნტის წყლების ფორმირება, მოძრაობა და გავრცელება განისაზღვრება გეომორფოლოგიური პირობებით და გეოლოგიური აგებულებით. გრუნტის წყლები ძირითადად ინფილტრაციულია, თუმცა აღვნიშნავთ, რომ ტერიტორიის განაშენიანებასთან დაკავშირებით გარკვეული როლი ენიჭება ტექნოგენურ წყლებსაც, დაზიანებული კომუნიკაციები დიდ პრობლემებს უქმნიან მოსახლეობას. საქმე ისაა, რომ საცხოვრებელი შენობები აშენებულია ზედაპირიდან 4-5 მ სიღრმეზე, სადაც გრუნტები მშრალ მდგომარეობაშია. ხშირად წყლის კომუნიკაციები ზიანდება, რაც იწვევს ფუძე-გრუნტების წყლით დასველებას. შედეგად გრუნტის სიმტკიცე მკვეთრად ეცემა და შენობები განიცდიან არათანაბარ ჯდენებს.

საქართველოს ტერიტორიის ტექტონიკური დარაიონება
ე. გამყრელიძის (2000) მიხედვით



1. კავკასიონის ნაოჭა სისტემა
2. სამხრეთ კავკასიის მთათაშუა არე
3. მცირე კავკასიონის ნაოჭა სისტემა

საქართველოს სქემატური გეოლოგიური რუკა (გამყრელიძე და სხვ. 2009)



1. მეოთხეული; 2. ნეოგენური; 3. პალეოგენური; 4.ცარცული; 5. იურული; 6. შუა პალეოზოურ-ტრიასული; 7. ნეოპროტეროზოურ-ქვედა პალეოზოური; 8. ნეოგენურ-მეოთხეული სუბაერული ვულკანიტები; 9. იურული გრანიტოიდები; 10. ნეოპროტეროზოური და პალეოზოური გრანიტოიდები; 11. რღვევები; 12. შარიაჟების ფრონტალური ხაზები; 13. საქართველოს სამხედრო გზა.

სეისმურობა

საქართველოში ამჟამად მოქმედი ნორმატიული დოკუმენტის 01.01.09 – „სეისმომედეგი მშენებლობა“-ს თანახმად, საქართველოს სეისმური დარაიონების რუკის მიხედვით საკვლევი უბანი მიეკუთნება 8 ბალიან ზონას, ხოლო მიწისძვრების ტალღების მაქსიმალური ჰორიზონტალური აჩქარების (სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტი) მახასიათებელი საკვლევ უბანზე – 0,17 მ/წმ^2;



სამშენებლო კლიმატოლოგია

დაპროექტების ნორმების სნ. და წ. 01.05-08-„სამშენებლო კლიმატოლოგია“-ს მიხედვით საპროექტო ტერიტორია მიეკუთვნება III გ ქვერაიონს (საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება № 1-1/1743;25.08.2008;

უბნის კლიმატური მონაცემები აღებულია საქართველოს სამშენებლო კლიმატოლოგიური ნორმიდან - პნ 01.05-08. ყველაზე ახლომდებარე მეტეოპუნქტის თბ. ობსერვატორიის მონაცემების მიხედვით.

კლიმატური თვალსაზრისით, ქალაქი თბილისი შედის ქვემო ქართლის მშრალი სუბტროპიკული სტეპური ჰავის ზონაში, ზომიერად ცივი ზამთრით და ცხელი ზაფხულით. საერთო კლიმატური პირობებით ჰავა ზომიერად კონტინენტალურია. ჰაერის მოძრაობის მიხედვით ნათლადაა გამოკვეთილი აღმოსავლეთისა და დასავლეთის მიმართულება, რომელიც შეიძლება შეიცვალოს ადგილობრივი მეზორელიეფის განვითარების გამო. ქარების სიჩქარე ქალაქის ფარგლებში მნიშვნელოვნად ცვალებადობს. მაქსიმალური სიჩქარეები შეინიშნება მარტსა და აპრილში, ხოლო ყველაზე წყნარი თვეები ამ მხრივ ნოემბერი და დეკემბერია. ქარის საშუალო წლიური სიჩქარე აღწევს 5.8 მ/წმ. ძლიერ ქარიანი საშუალოდ 58 დღეა (15მ/წმ).

ქ. თბილისში საშუალო წლიური ტემპერატურა მერყეობს 10-12.50-მდე. ყველაზე ცივი თვე იანვარია, საშუალო ტემპერატურით 0.3^{0}C. ყინვები შეიძლება დაიწყოს ნოემბერში და გაგრძელდეს მარტამდე. აბსოლუტური მინიმუმია - 23^{0}C. წლის ყველაზე თბილი თვე აგვისტოა, საშუალო ტემპერატურით 24^{0}C. აბსოლუტური მაქსიმუმია 40^{0}C.

ჰაერის საშუალო წლიური შეფარდებითი ტენიანობა 65%-მდეა.

მოსული ნალექების წლიური ჯამი საშუალოდ 560 მმ. მათი მაქსიმალური რაოდენობა მოდის მაისში, მინიმალური კი იანვარში. ნალექიან დღეთა რიცხვი წელიწადში საშუალოდ არის 89. ნალექების დღეღამური მაქსიმუმი 147 მმ-ა.

თოვლის საფარი სპორადულ ხასიათს ატარებს და მცირე ხნით ხასიათდება. ის შეიძლება მოვიდეს ნოემბრიდან აპრილამდე და ყოველ წელს არ მოდის. თოვლის საფარის მაქსიმალურმა სიდიდემ შეიძლება 30-40 სმ-ს მიაღწიოს, ხოლო უმთავრესად 10 სმ-ს არ აჭარბებს.

კლიმატური მახასიათებლები შემდეგია:

– საშუალო წლიური ტემპერატურა +12,4°C;

– ტემპერატურის აბსოლუტური მინიმუმი –23°C;

– ტემპერატურის აბსოლუტური მაქსიმუმი +40°C;

– ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა – 560 მმ;

– თოვლის საფარის წონა – 0,50 კპა;

– თოვლის საფარის დღეთა რიცხვი – 14;

– ქარის მაქსიმალური სიჩქარე 20 წლიანი განმეორებადობით – 37 მ/წმ;

– გაბატონებული ქარების მიმართულება– ჩრდილო-დასავლეთის;

– ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობა 15 წელიწადში ერთხელ – Wo=0,85 კპა;

– გრუნტების სეზონური გაყინვის ნორმატიული სიღრმე – 0 სმ.

სამშნებლო უბნის კლიმატის ელემენტები დახასიათებულია ქ.თბილისის (სამშენებლო-კლიმატური რაიონების III გ ქვერაიონი) მეტეოსადგურების მონაცემებით.

3. სპეციალური ნაწილი

3.1. გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებები

ჩატარებული საველე და ლაბორატორიული ანალიზის შედეგად, საკვლევ მოედანზე დაძიებულ სიღრმემდე გეოლოგიურ ჭრილში გამოყოფილი იქნა გრუნტის შემდეგი ფენები:

ფენა 1 – ნაყარი, ტექნოგენური გრუნტი (tQIV) ;

ფენა 2 – თიხოვანი გრუნტი (dQIV);

ფენა 3 – კენჭნარი (aQIV);

ფენა 4 – ძლიერ გამოფიტული ძირითადი ქანები (eQ);

ქვემოთ მოგვყავს აღნიშნული ფენების დახასიათება:

ფენა 1 - ნაყარი, ტექნოგენური, (tQIV), გრუნტი. შენობის სარდაფში დაფარულია 0,20 მ სისქის ბეტონით. გრუნტი წარმოდგენილია თიხოვანი გრუნტების და ტექნოგენური მასალის ნარევით. არსებული შენობა ამ ფენაზე არ არის დაფუძნებული და ამიტომ მისი თვისებები არ დასინჯულა;

ფენის სიმძლავრე 0,00-დან -1,00-მ-მდე;

მოედნის შემდეგი ფენა:

ფენა 2 – თიხოვანი გრუნტი (dQIV), ყავისფერი, სიღრმეში კენჭების ჩანართებით, კარბონატული, დელუვიურ-პროლუვიური გენეზისის.

ქვემოთ №1 ცხრილში მოყვანილია ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგად მიღებული გრუნტის ფიზიკური თვისებების ძირითადი მახასიათებლების პარამეტრების ცვალებადობის დიაპაზონი და საშუალო (ნორმატიული) მნიშვნელობები.

№№	ფიზიკური მახასიათებლები			განზ.	მიღებულ სიდიდეების დიაპაზონი	საშუალო (ნორმატიული) მნიშვნელობა
					ფენა 2	ფენა 2
1	პლასტიკურობის რიცხვი		I_p	ერთ.ნაწ	14,5-16,4	**15,6**
2	ტენიანობა		**W**	%	21,1-27,2	**23,8**
3	სიმკვრივე	გრუნტის	**ρ**	გ/სმ³	1,84-1,96	**1,90**
		მშრალი გრუნტის	ρ_d		1,46-1,58	**1,53**
		გრუნტის ნაწილაკების	ρ_s		2,70-2,71	**2,71**
4	ფორიანობა		**n**	-	41,1-44,3	**42,9**
5	ფორიანობის კოეფიციენტი		**e**	–	0,678-0,785	**0,738**
6	დენადობის მაჩვენებელი		I_L	–	-0,01-0,12	**-0,07**
7	ტენიანობის ხარისხი		S_r	–	0,81-0,84	**0,83**

8	ტენიანობა დენადობის ზღვარზე	W_L	ერთ.ნაწ	0.34-0.36	**0.35**
9	ტენიანობა პლასტიკურობის ზღვარზე	W_p	ერთ.ნაწ	0.18-0.21	**0.19**

როგორც ცხრილიდან ჩანს, გამოკვლეული გრუნტი მიეკუთვნება მყარი კონსისტენციის თიხნარებს $I_L<0$, ხოლო ტენიანობის ხარისხით გრუნტი წყალგაჯერებულია $S_r=0,83$;

ზემოთმოყვანილ ცხრილში მოცემული საშუალო არითმეტიკული სიდიდეები შეიძლება ჩაითვალოს როგორც საანგარიშო მნიშვნელობები.

ფენისადმი პირობითი საანგარიშო წინაღობა, განისაზღვრა სამშენებლო ნორმებით პ.ნ. 02.02.08 დანართი 3, ცხრ. 3-ით, საიდანაც

R_0=2.1 კგძ/სმ2;

მექანიკური მახასიათებლების საანგარიშო მონაცემები მოცემულია ქვემოთ ცხრილ №2-ში:

№№	გრუნტის მახასიათებლები	საანგარიშო (ნორმატიული) მნიშვნელობები
		(ფენა 2)
1	სიმკვრივე ρ გ/სმ^3	1,90
2	ხვედრითი შეჭიდულობა c კპა (კგძ/სმ^2)	28 (0.28)
3	შინაგანი ხახუნის კუთხე φ°	23^0
4	**დეფორმაციის მოდული E მპა (კგძ/სმ^2)**	**18 (180)**
5	**პირობითი საანგარიშო წინაღობა R_0 კპა (კგძ/სმ^2)**	**210 (2.1)**
6	საგების კოეფიციენტი K კგ/სმ^3	2.5
7	პუასონის კოეფიციენტი, μ	0.42

აღნიშნული ფენა გამოყოფილია როგორც საინჟინრო გეოლოგიური ელემენტი – **სგე-1.** ფენის სიმძლავრე -1.00-და --3.00 -მ-მდე;

მოედნის შემდეგი ფენა:

ფენა 3 - ალუვიური წარმოშობის (aQIV) კენჭნაროვანი გრუნტი, ხრეშის, ქვიშის, წვრილი და საშუალო ფრაქციის კენჭის ჩანართებით და ქვიშის და ქვიშნარის შემავსებლით. ნატეხოვანი მასალა კარგად დამუშავებული და დახარისხებულია.

ლაბორატორიულიად განსაზღვრულია გრანულომეტრიული შემადგენლობა, რომელიც მოცემულია ცხრილი #3-ში.

№	სამთ.გამ №	აღების სიღრმე, მ	ფრაქციების შემცველობა მასაში, მმ > 200						
			> 40	40-20	20-10	10-5	5-2	2-1	<1
1	შურ . 1	-1.50	5,6	14,7	18,6	11,0	10,3	5,5	34,3
2	შურ. 2	-1.50	3,7	10,9	5,2	19,4	14,7	8,1	38,0
საშუალო			**4.6**	**12.7**	**11.9**	**15.2**	**12.6**	**6.8**	**36.2**

როგორც ცხრილიდან ჩანს 2 მმ-ზე მსხვილი ფრაქცია 50%-ზე მეტია, ამიტომ გრუნტი მსხვილნატეხოვანი-კენჭოვანი (ხვინჭოვანი) დასახელებისაა.

რაც შეეხება შემავსებელს, ჩვენს მიერ ლაბორატორიულად დადგენილი იქნა შემავსებლის ფიზიკური თვისებები, რომლებიც მოცემულია ქვემოთ ცხრილი #4-ში.

№№	ფიზიკური მახასიათებლები		განზ.	მიღებულ სიდიდეების დიაპაზონი	საშუალო (ნორმატიული) მნიშვნელობა
				ფენა 3	ფენა 3
1	პლასტიკურობის რიცხვი	I_p	ერთ.ნაწ	5.4-6.5	**6.0**
2	ტენიანობა	**W**	%	7.0-8.0	**7.5**
6	დენადობის მაჩვენებელი	I_L	–	-0.96-1.1	**-1.0**
8	ტენიანობა დენადობის ზღვარზე	W_L	ერთ.ნაწ	0.13-0.20	**0.16**
9	ტენიანობა პლასტიკურობის ზღვარზე	W_p	ერთ.ნაწ	0.19-0.26	**0.22**

როგორც ცხრილიდან ჩანს, შემავსებელი მიეკუთვნება ქვიშნარს.

ფენისათვის სიმტკიცის და დეფორმაციის მახასიათებლების მნიშვნელობები, აგრეთვე საანგარიშო წინაღობა მიღებულია ს.ნ. და წ. „შენობების და ნაგებობები ფუძეები (პნ 02.01-08)-ს დანართი 2-ს და 3-ს ცხრილების მიხედვით და შესაბამისად შეადგენენ შემდეგ მონაცემებს, რომლებიც მოცემულია ქვემოთ ცხრილი #5-ში.

№№	გრუნტის მახასიათებლები	საანგარიშო (ნორმატიული) მნიშვნელობა
		ფენა 3
1	სიმკვრივე ρ გ/სმ^3	2,00
2	ხვედრითი შეჭიდულობა c კპა (კგძ/სმ^2)	2 (0.02)
3	შინაგანი ხახუნის კუთხე φ°	35^0
4	**დეფორმაციის მოდული E მპა (კგძ/სმ^2)**	**50 (500)**
5	**პირობითი საანგარიშო წინაღობა R_0 კპა (კგძ/სმ^2)**	**450 4.5)**

ფენის სიმძლავრე -3.00-და --4,50 -მ-მდე;

აღნიშნული ფენა გამოყოფილია როგორც საინჟინრო გეოლოგიური ელემენტი - **სგე -2.**

მოედნის შემდეგი ფენა:

ფენა 4 – წარმოდგენილი არის ძირითადი ქანებით, მესამეული ასაკის - ზედა ეოცენის (P^3_2) ძლიერ გამოფიტული არგილითებისა და ქვიშაქვების მორიგეობით. ძლიერ გამოფიტულ მორიგეობაში კარგად გამოიყოფა გამოფიტვის სულ ზედა ქვეზონა - წვრილდისპერიული. ქანები ძლიერ გამოფიტულია – დანაწევრებულ-დაშლილია (ქანის მთლიანობა დარღვეულია და კერნი საბურღი მილიდან გამოდის დაშლილი) და განიხილება როგორც

ძირითადი ქანის გამოფიტვის ქერქის ნატეხოვანი ზონა. აღნიშნული ზონიდან ნიმუშების აღება ვერ მოხერხდა მათი მსხვრევადობის გამო, ამიტომ მათი სიმტკიცის დასადგენად გამოყენებულია ლიტერატურული მასალა. (ძირითადად გ. ჯაფარიძე – ქ. თბილისის საინჟინრო გეოლოგიური პირობები). ვეყრდნობით რა, მათ შედეგებს, ძლიერ გამოფიტული არგილიტებისა და ქვიშაქვების პირობითი წინაღობა

$$R_0=3,0 კგ/სმ2;$$

დეფორმაციის მოდული

$$E=300 კგ/სმ2;$$

ქანების დაქანების აზიმუტი ჩ.დ. 340^0-350^0, ხოლო დაქანების კუთხე 20-25^0 (აღბულია ლიტერატურული და საარქივო მასალიდან);

აღნიშნული ფენა გამოყოფილია როგორც საინჟინრო გეოლოგიური ელემენტი – **სგე-3.**

მოედნის ჰიდროგეოლოგიური პირობებიდან აღვნიშნავთ, რომ საკვლევი უბნის შემოგარენში გრუნტის წყლის ფორმირება, მოძრაობა და გავრცელება განისაზღვრება გეომორფოლოგიური პირობებით, გეოლოგიური აგებულებით, ასევე ატმოსფერული ნალექების ინფილტრაციით. მათ კვებაში ასევე დიდ როლს ასრულებს, ტექნოგენური წყლებიც. ჩვენს მიერ საველე სამუშაოების ჩატარების დროს გრუნტის წყალი არ გახსნილა, თუმცა ლიტერატურული და საარქივო მასალიდან, ასევე ჩვენს მიერ მიმდებარე ტერიტორიაზე ჩატარებული კვლევებიდან გამომდინარე, შგვიძლია აღვნიშნოთ, რომ მიმდებარე ტერიტორიაზე გრუნტის წყალი იხსნება მიწის ზედაპირიდან - 4.70-4,80 მ-ზე, ხოლო დამყარების დონეები - 4,00-4,50 მ-ზეა.

დასკვნები და რეკომენდაციები:

- გეომორფოლოგიურად საკვლევი ტერიტორია მდებარეობს მდ.მტკვრის მარცხენა ნაპირზე, I ჭალისზედა ტერასაზე, რომელიც "დიდუბე-ჩუღურეთის" სახელითაა ცნობილი. რელიეფი ტექნოგენურია, ოდნავ დამრეცი რელიეფით.
- საინჟინრო გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით სნდაწ 1.02.07-87-ის მე-10 ცხრილის თანახმად გამოკვლეული უბანი მიეკუთვნება II (საშუალო სირთულის) კატეგორიას.
- არსებული შენობა აშენებულია მე-20 საუკუნის 50-60-იან წლებში, იგი 4 სართულიანია, სამი მიწისზედა და ერთი მიწისქვეშა სართულით. შენობა გეგმაში რუსული П ფორმისაა. აშენებულია ტუფის ქვით და ბეტონის ბლოკით. კუთხეებში და ზღუდარებში გამოყენებულია ქართული აგურიც. კედლების ზომა 0,80 X 0,80 მ-ია. შუა მზიდი კოლონებისაც იგივე 0,80 X 0,80 მ-ია. საძირკვლები ლენტურია, ზომებით გარე კედლებთან

0,80 X 1,00, შუა მზიდი კოლონები დაფუძნებულია ყორე ქვის ბალიშზე, ზომებით 0,80 X 1,20, დაფუძნება განხორციელებულია ყორე ქვით, ბეტონის დუღაბით კენჭნაროვან გრუნტზე. შურფი #1 და შურფი #4 -ის გაყვანისას გამოჩნდა, რომ გარე კედლის (უზნაძეს ქუჩის მხრიდან) საძირკვლები გამაგრებულია ათეული წლის წინ ბუტა ბეტონის ხსნარით (ე.წ. „აპალოვკის ბეტონით).

- საპროექტო ტერიტორიის ამგებ გრუნტებში გამოკვლეულ სიღრმემდე გამოიყოფა 4 (ოთხი) ფენა და 3 (სამი) საინჟინრო- გეოლოგიური ელემენტი (სგე),

ფენა -1 – ნაყარი, ტექნოგენური (tQIV), გრუნტი. შენობის სარდაფში დაფარულია 0,20 მ სისქის ბეტონით. გრუნტი წარმოდგენილია თიხოვანი გრუნტების და ტექნოგენური მასალის ნარევით. არსებული შენობა ამ ფენაზე არ არის დაფუძნებული და ამიტომ მისი თვისებები არ დასინჯულა;

ფენის სიმძლავრე 0,00-დან -1,00-მ-მდე;

ფენა - 2 – ს.გ.ე. - №1 - თიხნარი, (dQIV) ყავისფერი, სიღრმეში კენჭების ჩანართებით, კარბონატული, დელუვიურ-პროლუვიური გენეზისის, მყარი კონსისტენციის;

- საანგარიშო წინაღობა Ro =2.1 კგძ/სმ2;
- დეფორმაციის მოდული **E** =180 კგძ/სმ2;

არსებული შენობა ამ ფენაზე არ არის დაფუძნებული

ფენის სიმძლავრე -1.00-და --3.00 -მ-მდე;

ფენა -3 – ს.გ.ე. - №2 - კენჭნარი, ალუვიური წარმოშობის (aQIV), ხრეშის, ქვიშის, წვრილი და საშუალო ფრაქციის კენჭის ჩანართებით და ქვიშის და ქვიშნარის შემავსებლით. ნატეხოვანი მასალა კარგად დამუშავებული და დახარისხებულია.

- საანგარიშო წინაღობა Ro=4,5 კგძ/სმ^2;
- დეფორმაციის მოდული E=500 კგძ/სმ^2;
- შიგა ხახუნის კუთხე φ°=43 °;
- კუთრი შეჭიდულობა c =2 კპა

არსებული შენობა დაფუძნებულია ამ ფენაზე;

ფენის სიმძლავრე -3.00-და --4,50 -მ-მდე;

ფენა -4 – სგე 3– ძლიერ გამოფიტული სახეშეცვლილი არგილიტები და ქვიშაქვები, (eQ),

- საანგარიშო წინაღობა Ro=3,0 კგძ/სმ^2;
- დეფორმაციის მოდული E=300 კგძ/სმ^2;

- ქვემოთ, ცხრ. №9 მოცემულია სამივე სგე-ს გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლების პარამეტრების საანგარიშო მნიშვნელობები მიღებული,როგორც ლაბორატორიული გამოკვლევებით, ასევე ს.ნ. და წ. "შენობების და ნაგებობების

ფუძეები” (პნ 02.01-08)-ის დანართი 2-ს და 3-ს ცხრილების მიხედვით. cxrili 9

№№	გრუნტის მახასიათებლები	საანგარიშო (ნორმატიული) მნიშვნელობები		
		სგე 1	სგე 2	სგე 3
1	სიმკვრივე ρ გ/სმ^3	1,90	2,00	2.03
2	ხვედრითი შეჭიდულობა c კპა (კგძ/სმ^2)	28 (0.28)	2 (0.02)	
3	შინაგანი ხახუნის კუთხე φ°	23^0	43^0	
4	დეფორმაციის მოდული E მპა (კგძ/სმ^2)	18 (180)	50 (500)	30 (300)
5	პირობითი საანგარიშო წინაღობა R$_0$კპ (კგძ/სმ2)	210 (2.1)	450 (4.5)	3.0 (0.30)
6	სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე წყალნაჯერ მდგომარეობაში Rcკგ/სმ^2	-	-	-
7	პუასონის კოეფიციენტი , μ	0.35	0.27	0.35
8	საგების კოეფიციენტი K კგ/სმ^3	2.5	10	10

მოედნის ჰიდროგეოლოგიური პირობებიდან აღვნიშნავთ, რომ საკვლევი უბნის შემოგარენში გრუნტის წყლის ფორმირება, მოძრაობა და გავრცელება განისაზღვრება გეომორფოლოგიური პირობებით, გეოლოგიური აგებულებით, ასევე ატმოსფერული ნალექების ინფილტრაციით. მათ კვებაში ასევე დიდ როლს ასრულებს, ტექნოგენური წყლებიც. ჩვენს მიერ საველე სამუშაოების ჩატარების დროს გრუნტის წყალი არ გახსნილა, თუმცა ლიტერატურული და საარქივო მასალიდან, ასევე ჩვენს მიერ მიმდებარე ტერიტორიაზე ჩატარებული კვლევებიდან გამომდინარე, შგვიძლია აღვნიშნოთ, რომ მიმდებარე ტერიტორიაზე გრუნტის წყალი იხსნება მიწის ზედაპირიდან - 4.70-4,80 მ-ზე, ხოლო დამყარების დონეები - 4,00-4,50 მ-ზეა.

ასევე, ლიტერატურული და საარქივო მასალიდან, ასევე ჩვენს მიერ მიმდებარე ტერიტორიაზე ჩატარებული კვლევებიდან გამომდინარე, შგვიძლია აღვნიშნოთ, გამოკვლეული წყალი გარემო:

დასაპროექტებელი კონსტრუქციის ბეტონის მიმართ:

ამჟღავნებს სულფატურ აგრესიულობის შემდეგ თვისებებს:

1. პორტლანდცემენტის (10178-760 სტანდარტი) გამოყენებისას:
   ა) ძლიერ აგრესიულია W4 წყალშეუღწევადობის მარკის ბეტონის მიმართ;
   ბ) საშუალოდ აგრესიულია W6 წყალშეუღწევადობის მარკის ბეტონის მიმართ;
   ც) სუსტად აგრესიულია W8 წყალშეუღწევადობის მარკის ბეტონის მიმართ;
2. პორტლანდცემენტის (10178-76 სტანდარტი) კლინკერში ჩანართებით C_3S არაუმეტეს 65%, C_3A არაუმეტეს 7%, C_3A+C_4AF არაუმეტეს 22%, წიდაპორტლანდცემენტის და

აგრეთვე სულფატმდგრადი (22266-76 სტანდარტი) ცემენტების გამოყენებისას – არა აგრესიულია W4-W6-W8 წყალშეუღწევადობის მარკის ბეტონის მიმართ;

3. არმატურის მიმართ:

ა) არ არის აგრესიულია წყლის გარემოში მუდმივად ყოფნის დროს;

ბ) საშუალოდ აგრესიულია წყლის გარემოში პერიოდულად ყოფნის დროს.

- პნ 01.01-09-ის („სეისმომედეგი მშნებლობა“) თანახმად, ქ.თბილისი მიეკუთნება 8 ბალიანი სეისმურობის ზონას. ამავე ნორმატიული დოკუმენტის ცხრილი 1-ის თანახმად სეისმური თვისებების მიხედვით, უბანზე გავრცელებული გრუნტები მიეკუთნებიან:

- ა) ნაყარი (ფენა 1) -III კატეგორიას;
- ბ) დანარჩენი ფენები – II კატეგორიას;
- სამშენებლო ობიექტის საანგარიშო სეისმურობად განისაზღვროს 8 ბალი, ხოლო მიწისძვრების ტალღების მაქსიმალური ჰორიზონტალური აჩქარების (სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტი) მახასიათებელი საკვლევ უბანზე 0,17 მ/წმ^2;

- დამუშავების სიძნელის მიხედვით, უბანზე გავრცელებული გრუნტები, სნ და წ IV–2–82 I–I ცხრილის თანახმად, მიეკუთნებიან:

- ა) ნაყარი გრუნტი (ფენა 1) - სამივე სახეობით (ერთციცხვიანი ექსკავატორით, ბულდოზერით და ხელით) დამუშავებისას - II ჯგუფს, საშუალო სიმკვრივით 1800 კგ/მ^3 (რიგ.#24ა);
- ბ) თიხა (ფენა 2) _ ყველა სახის დამუშავებისას III ჯგუფს (სნ და წ IV-2-82; რიგ. 33გ).
- გ) კენჭნარი (ფენა 2) – ყველა სახის დამუშავებისას III ჯგუფს (სნ და წ IV-2-82; რიგ. 6ვ).
- დ) ბ) ძლიერ გამოფიტული ძირითადი ქანი (ფენა 2) - ერთციცხვიანი ექსკავატორით და ხელით დამუშავებისას - V ჯგუფს, სიმკვრივით 2000 კგ/მ3 (რიგ. #3ა);

ინჟინერ-გეოლოგი: / *ზ.ნაზღაიძე*/

გამოყენებული ლიტერატურის სია

1. პნ 01.05-08 დაპროექტების ნორმების - „სამშენებლო კლიმატოლოგია”. საქართველოს ეკ. განვითარების მინისტრის ბრძანება №1-1/1743, 2008 წლის 25 აგვისტო ქ. თბილისი.
2. პნ 02.01-08 სამშენებლო ნორმების და წესების - „შენობების და ნაგებობების ფუძეები”. საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება №1-1/1924, 2008 წლის 17 სექტემბერი ქ. თბილისი.
3 . პნ 01.01-09 სამშენებლო ნორმების და წესების - „სესმომედეგი მშენებლობა”. საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება №1-1/2284, 2009 წლის 7 ოქტომბერი ქ. თბილისი.
4. დ.ჩხეიძე – საინჟინრო გეოლოგია – გამომცემლობა “განათლება”; 1979
5. ე.გამყრელიძე – სტრუქტურული გეოლოგიის მეთოდები – გამომცემლობა “განათლება”; 1979

შპს „წყალი და ბრუნტი“	ბრუნტების ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგები	
	ობიექტის: თბილისი, უზნაძის ქუჩა №78, საკ.კოდი 01.13.08.001.056	
	დასახელება: სანიტარიის ჰიგიენის და სამედიცინო ეკოლოგიის ინსტიტუტი	

ნიმუშის №	გამონაშუშვრის №	ალების სიღრმე, მ	ნიმუშის სტრუქტურა	ლაბ. №	პლასტიკურობა			ბუნებრივი ტენიანობა, %	სიმკვრივე, გ/სმ³			ფორიანობა, %	ფორიანობის კოეფიციენტი	დენადობის მაჩვენებელი	ტენიანობის ხარისხი	ბრუნტის ტიპი
					ზღვრის ზღვარი, %	ქუჩის ზღვარი, %	პლასტიკურობის რიცხვი		ბუნებრივი	მშრალი ბრუნტის	ბრუნტის ნაწილაკების					
		h			W_L	W_p	I_p	W	ρ	ρ_d	ρ_s	n	e	I_L	S_r	
1	შურფი 1	-0.80	მოქ	254	35.7	21.2	14.5	21.1	1.84	1.46	2.70	41.1	0.678	-0.01	0.81	თიხნარი, მყარი კონსისტენციის
2	შურფი 2	-0.80	მოქ	255	34.4	18.0	16.4	27.2	1.96	1.58	2.71	44.3	0.785	-0.12	0.84	
3	შურფი 1	-1.50	დარღ	256	18.5	13.1	5.4	7.0	1.94					-0.96		კენჭნარი, შემავსებელი ქვიშნარი
4	შურფი 2	-1.50	დარღ	257	26.1	19.6	6.5	8.0	1.96					-1.1		
				გრანულომეტრიული შედგენილობა, %												
ფრაქციის ზომა, მმ																
					>40	40-20	20-10	10-5.0	5.0-2.0	2-1	<1					
3	შურფი 1	-1.50	დართ	256	5.6	14.7	18.6	11.0	10.3	5.5	34.3					კენჭნარი, შემავსებელი ქვიშნარი
4	შურფი 2	-1.50	დარღ	257	3.7	10.9	5.2	19.4	14.7	8.1	38.0					

შენიშვნა: ნიმუშის ალების სიღრმე დაფიქსირებული სარდაფის ძირიდან

შპს „წყალი და ბრუნტის“ დირექტორი მ. მარდაშოვა



გამოსამუშავებელია განლაგების გეგმა



პირობითი აღნიშვნები

WGS 1984-ის კოორდინატთა სისტემის UTM პროექცია

ს/ხ	საცხ. შენობა	ბორდიული	ჭიშკარი
ა/ა	არასაცხ. შენობა	ხის ღობე	ბეტონი
	ფარდული	ლობე	წყალგაყვანილობა
	მშენებარე შენობა	ქვის კედელი	კავშირგაბმულობა
	სატრანსფორ. ჯიხური	კედელი	ელ. ქსელები
	ხეები	ფლატე	ბუნებრივი აირი
	გარე განათება	რკინიგზა	სადრენაჟო ინფრასტრუქტურა
		სამოვალეურეო ჯები	ინტერნეტ ქსელი
		ელ. გადამცემი ხაზი	

შენიშვნა: 1) ნაკვეთის საზღვარი (თუ იგი არის ნახაზზე) მითითებულია დამკვეთის მიერ

